ცნობილი ქუთაისელი ფოტოგრაფის ილო ხახიაშვილის შესახებ ვიდეორგოლის "ილო ფოტოგრაფი " - გადაღების საკონკურსო დებულება

1.ზოგადი დებულებები:

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის მიზნებს და ამოცანებს, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.
1.2 კონკურსის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
1.2 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სრულწლოვან ფიზიკურ პირებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.
1.3 კონკურსის ჩატარების ადგილი - ქალაქ ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

2. კონკურსის მიზანი და ამოცანები:

2.1. კონკურსის მიზანია ცნობილი ქუთაისელი ფოტოგრაფის ილო ხახიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვიდეორგოლის გადაღება, რომელშიც აისახება მისი ცხოვრების ბიოგრაფიული მასალები და შემოქმედება.

3. მოთხოვნა ავტორებისა და ვიდეორგოლისადმი

3.1 მოთხოვნა ავტორისადმი

3.1.1 წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ქსეროასლი
3.1.2 შეავსოს დადგენილი ნიმუშის განაცხადი
3.1.3 წარმოადგინოს CV
3.1.4 წარმოდგინოს საკონკურსო ვიდეორგოლი მატერიალური სახით CD /DVD დისკზე, მისამართზე ქალაქ ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, ან ელექტრონული ფორმით ქუთაისის მერიის ელ.ფოსტაზე contact@kutaisi.gov.ge wetransfer-ის მეშვეობით.

3.2 მოთხოვნა ვიდეორგოლისადმი

3.2.1 **ტექნიკური პარამეტრები** - ვიდეორგოლი უნდა დამზადდეს MP4 ფორმატში; მინიმალური გაფართოება 1280 x720px.
3.2.2 **შინაარსობრივი მხარე** - ვიდეორგოლში უნდა იყოს წარმოდგენილი ილო ხახიაშვილის ბიოგრაფია, და შემოქმედება, ინტერვიუები ქუთაისელ კოლორიტებთან და ცნობილ ადამიანებთან, რომლებიც იცნობდნენ ილოს.
3.2.3 ვიდეორგოლის მონტაჟისას გამოყენებული უნდა იყოს ილოს ფოტოები და საარქივო მასალები.

3.2.4 ვიდეორგოლის დასაწყისში ტიტრებში უნდა მიეთითოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და მერიის ლოგო.
3.2.5 ვიდეორგოლის ხანგრძლივობა უნდა იყოს 10 წუთი.

4 განაცხადების მიღების და განხილვის ვადები

4.1 განაცხადის წარმოადგენის ბოლო ვადაა **2021 წლის 01 ნოემბრის 18:00 სთ.** განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით ქუთაისის მერიის ელ.ფოსტაზე contact@kutaisi.gov.ge

4.2 კომისია წარმოდგენილ ნამუშევრებს განიხილავს არაუგვიანეს **2021 წლის 15 ნოემბრისა.**

5 შეფასების კრიტერიუმები:

5.1. კრიტერიუმები

5.1.1 შესაბამისობა ვიდეორგოლისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან (მუხლი 3.2)
5.1.2 მასალის ლოგიკურად და საინტერესოდ გადმოცემა
5.1.3 ვიდეოგადაღების ხარისხი
5.1.4 ხმის ხარისხი
5.1.5 ვიდეორგოლის ესთეტიურობა (ზოგადად ემოციური აღქმადობა)
5.2 ***სხვა დანარჩენი კრიტერიუმების თანაბრობისას უპირატესობა მიენიჭება იმ ავტორს, რომელიც ასახავს ილოს ცხოვრების და მოღვაწეობის დღემდე გამოუქვეყნებელ მასალებს.***
5..3 თითოეული კრიტერიუმი ფასდება 10 (ათ) ბალიანი სისტემით.

6. გამარჯვებული ავტორის გამოვლენა:

6.1 კომისიის წევრები გაეცნობიან წარმოდგენილ ნამუშევრებს და აფასებენ ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
6.2 გამარჯვებულად ცხადდება ავტორი, რომელიც დააგროვებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ჯამურ ქულათა უმრავლესობას.

7. დროებითი კომისიის შექმნა და მუშაობის წესი

7.1 კონკურსის დებულებას, დროებითი კომისიის რაოდენობას და შემადგენლობას ამტკიცებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;
7.2 კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე,მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე;

7.3 კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
7.4 თუ ორმა ან მეტმა ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;
7. 5 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.
7.6. ოქმს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

8. საკონკურსო წინადადების ფასი

კონკურსში გამარჯვებული ვიდეორგოლის ავტორს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1250 ლარის ოდენობით

9. საავტორო უფლებები

9.1. კონკურსში ნამუშევრის გამოგზავნისას ავტორი ავტომატურად აძლევს უფლებას კონკურსის ორგანიზატორს მიწოდებული მასალა გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ (ინტერნეტში განთავსება, ტელეგადაცემებში გამოყენება, დაბეჭდვა, გამოცემა შემდგომი ტირაჟირება და სხვ.)
9.2 კონკურსში გამოგზავნილი ვიდეორგოლების რეცენზირება და უკან დაბრუნება არ ხდება.

David Eremeishvili

Digitally signed by David Eremeishvili
DN: cn=David Eremeishvili, serialNumber=60001027787, o=Citizen, c=GE
Date: 2021.09.16 17:21:01 +04'00'